

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის დავით ბაქრაძის ინტერვიუ ბერძნულ გაზეთში "კაპიტალი"

04.04.2015

არაოფიციალური თარგმანი

„ქართული ოცნება“ ევროპისკენ იყურება

ისლანდია, რომელმაც ცოტა ხნის წინ ზურგი შეაქცია ევროკავშირს და ისლანდიასა და ევროკავშირს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ორწლიანი შეჩერების შემდეგ, საბოლოოდ გამოიტანა ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნა, მონეტის ერთ მხარეს წარმოადგენს, ხოლო მეორე მხარეს არიან კონტინენტის აღმოსავლეთის ქვეყნები, რომელთათვის ევროკავშირში ინტეგრაციის „მაცდური შესაძლებლობის“ სურვილი კიდევ ძლიერია. მათ შორის არის საქართველოს რესპუბლიკა, რომლის ევროპული ორიენტაცია უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის უსაფრთხოების პერპექტივას, მივიღებთ რა მხედველობაში 2008 წლის საქართველო–რუსეთის ომს და ოკუპირებულ ტერიტორიებს – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს (რომლებიც საერთაშორისოდ არ არის აღიარებული, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკები).

საქართველო ცდილობს, ურთიერთობები გაამყაროს ევროკავშირის 28 ქვეყანასთან და ამავდროულად, აღადგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა, რაც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, ერთი მხრივ, გასულ წელს რუსეთსა და აფხაზეთს, ხოლო 18 მარტს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის დადებული შეთანხმების ხელმოწერის, ხოლო, მეორე მხრივ, მასის თვეში დაგეგმილი რიგის სამიტის ფონზე, სადაც უნდა დასრულდეს პოსტ–საბჭოთა ქვეყნების ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციის პროცესი.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბელარუსი უკვე არის ევრაზიული კავშირის წევრი (რუსეთის ზეგავლენით), ხოლო სომხეთმა უკვე გამოხატა თავისი სურვილი ამ მიმართულებით, საქართველო, მოლდოვასა და უკრაინასთან ერთად, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების ერთადერთ რეალურ ობიექტს წარმოადგენს.

რიგის სამიტის სამზადისთან დაკავშირებით, გასულ კვირას განხორციელდა ქ. ათენში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის დავით ბაქრაძის ვიზიტი, რომელიც საბერძნეთის საგარეო საქმეთა ალტერნატიულ მინისტრს ნიკოს ხუნტის და პარლამენტის წევრებს შეხვდა.

შეხვედრა მისთვის საკმაოდ ნაცნობ გარემოში მოხდა, რადგან ახალ პოსტზე დაინიშვნამდე, დავით ბაქრაძე ორი წლის განმავლობაში საქართველოს ელჩი იყო საბერძნეთის რესპუბლიკაში. ახალგაზრდა დიპლომატი, რომელიც მანამდე ჟენევისა და ჰელსინკიში იმყოფებოდა როტაციით, წარმოადგენს ახალი მთავრობის სახეს, რომლსაც 33 წლის პრემიერ-მინისტრი ჰყავს და რომელიც ძირითადად ტექნოკრატებით არის დაკომპლექტებული. ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა ხუთპარტიულია. 2013 წელს მან ხელისუფლება ჩაიბარა მილიონერი ბიძინა ივანიშვილისგან (Forbes–ის სიის მიხედვით 153–ე ადგილას),

რომელმაც დაარსა „ქართული ოცნება“ და საპარლამენტო არჩევნებში დაამარცხა მიხეილ სააკაშვილის პარტია (2004 წელს „ვარდების რევოლუციით“ მოსული).

Capital.gr-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დავით ბაქრაძემ კმაყოფილება გამოთქვა ქვეყანაში გატარებულ რეფორმებთან დაკავშირებით და ისაუბრა მიღწევებზე კორუფციასთან ბრძოლაში. საქართველო მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში გადასახადების სიმცირით და მხოლოდ ექვსი ტიპის გადასახადს ითვლის. საბანკო სისტემა სტაბილურია, მიმდინარეობს საარბიტრაჟო სასამართლოს ფორმაცია. ქვეყნის ეკონომიკა გასულ წელთან შედარებით 4,8% გაიზარდა და გაფართოვდა ექსპორტი ევროპის ბაზარზე. ექსპორტის პოლიტიკის სწორი წარმართვით, საქართველომ აჩვენა 2011 წლის მაჩვენებელი, როდესაც მოხდა (2013 წლამდე) რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანის აკრძალვა. მნიშვნელოვანია ახალი ხელისუფლების მიერ საჯარო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დაარსება.

მეორე მხრივ, რუბლის ინფლაციით გამოწვეულმა კრიზისმა და ევროკავშირისა და რუსეთს შორის არსებულმა სანქციების ომმა გავლენა იქონია სამხრეთ კავკასიაზე: გასულ წელს საქართველოში ემიგრანტების ფულადი გზავნილების მაჩვენებელი 30% შემცირდა, 30% შემცირდა აგრეთვე ექსპორტი სხვა პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, ხოლო ინფლაციის დონემ 24% მიაღწია.

თუმცა, პატარა საქართველო, რომლის მოსახლეობა 4 მილიონს შეადგენს, ცდილობს გახდეს უფრო მეტი, ვიდრე „ერთი მორიგი პოსტ საბჭოთა რესპუბლიკა“ და იყურება როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით. „აბრეშუმის ახალი გზის“ ფარგლებში საქართველომ განახორციელა პირველი სარკინიგზო გზა ჩინეთამდე. ამავდროულად, ასრულებს „სამხრეთ დერეფნის“ როლს, როლმელიც ევროკავშირის ენერგეტიკულ თავისუფლებას უზრუნველყოფს. ჩართულია TANAP-ში, რითიც ინარჩუნებს სამკუთხედს თურქეთთან და აზერბაიჯანთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლიდან შეწყვეტილია, საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ სურვილი აქვს, გამონახოს დიპლომატიური გამოსავალი. მისი გადმოსახედიდან ოკუპირებული ტერიტორიებისთვის ევროკავშირში ინტეგრირებული საქართველო უფრო მიმზიდველი იქნება. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა, სადაც სულ რაღაც 40.000 მოსახლე ცხოვრობს და სადაც განთავსებულია ორი რუსული სამხედრო ბაზა, უშუალოდ არის დამოკიდებული რუსეთზე, ხოლო მოსახლეობის 90% რუსეთის ფედერაციის პასპორტი აქვს. მაშინ, როცა ასევე ოკუპირებული დნესტრისპირეთის 80.000 მოსახლეობამ მოლდოვის პასპორტები მიიღო, როგორც კი ხელი მოეწერა უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლიდან რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა, თბილისმა მოსკოვთან პოლიტიკური დიალოგი არ მიატოვა აფხაზეთ-რუსეთის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც, რომელიც დავით ბაქრაძემ შეაფასა, როგორც ანექსიის დასაწყისი. მართლაც მაშინაც კი, როდესაც საზღვრები დაიკეტა, მოქმედებდა როგორც "გარანტორი" ერევნის ევრაზიული კავშირთან დასაკავშირებლად (ვინაიდან სომხეთის ევრაზიის კავშირის სხვა ქვეყნებთან ერთადერთი დამაკავშირებელი სახმელეთო გზა საქართველოს გავლით გადის).

ამავე დროს, საქართველოს მთავრობა უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, აცხადებს, რომ თბილისსა და კიევს "ერთნაირი მოლოდინი" აქვთ და ამის ყველაზე კრიტიკული ელემენტი არის ევროატლანტიკური ქვეყნების რეაქცია. ეს დამოკიდებულება, როგორც ჩანს, ვერც პეტრო პოროშენკოს გადაწყვეტილებამ დაჩრდილა, რომლითაც უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველად, თავის ქვეყანაში ძებნილი სააკაშვილი

დანიშნა. "ეს მათი სუვერენული გადაწყვეტილებაა. ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ უკრაინას რეფორმების გატარების საქმეში",- მარტივი კომენტარი, გააკეთა ჩვენმა თანამოსაუბრემ (იგულისხმება დავით ბაქრაძე).

საქართველოს მოსახლეობის 85% ევროპული ორიენტაციის მომხრეა - და იმედოვნებს, რომ რიგის სამიტს ხელშესახები შედეგები ექნება ვიზების გაუქმების სახით, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმს, ვაჭრობასა და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე ურთიერთგაცვლებს. თუკი მოსალოდნელი ახალი ცივი ომის პირობებში ევროკავშირის პასუხი „ოცნების ნაკლებობა“ და მხოლოდ "წინაპირობების" შეფასება იქნება“, „იმედგაცრუება გარდაუვალია“-აღნიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა.

წყარო: <http://www.capital.gr/news.asp?id=2272405>